ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებელზე

დანართი

I. ინფორმაცია დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება: შპს ნანა
ორგანიზაციულ სამართლებრივი ფორმა: შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება

ავტორიზაციის მოპოვების შემთხვევაში ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის სურვილია განახორციელოს:

- [x] დაწყებითი ზოგადსაგანმანათლებლო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა;
- [ ] საბაზო ზოგადსაგანმანათლებლო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა;
- [ ] საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა;
- [ ] პირველი საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა;
- [ ] მეორე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა;
- [ ] მესამე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე: იანინა გიგიბერია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრი: თამარ ჩხიკვაძე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

_____

_____

_____

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა

_____

ბ.ა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებელზე

II. დაწესებულების მისია

ხელი შეუწყოს სკოლაში მასწავლებელთა პროფესიულ განვითარებას, სწავლა- სწავლების პროცესში თანამშრომლობას, თანამედროვე ტექნოლოგიებისა და მრავალფეროვანი აქტივობების გამოყენებას, რაც უზრუნველყოფს მაღალი აკადემიური მოსწრების მქონე, დამოუკიდებლად, კრიტიკულად და შემოქმედებითად მოაზროვნე პიროვნების ჩამოყალიბებას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

_____

_____

_____

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა

_____

ბ.ა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებელზე

III. სტანდარტები

1. საგანმანათლებლო პროგრამები

1.1. სასკოლო სასწავლო გეგმა გამომდინარეობს სკოლის მისიიდან და შეესაბამება ეროვნულ სასწავლო გეგმას

შეფასება:

შპს ნანამ წარმოადგინა 2017-2018 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმის პროექტი. ასევე, 2016-2017 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმა, რომელიც განხილულია პედაგოგიური საბჭოს სხდომაზე და დამტკიცებულია სკოლის დირექტორის მიერ 2016 წლის 25 აგვისტოს (ოქმი N1).

2016-2017 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმა და 2017 – 2018 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმის პროექტი არის ეროვნული სასწავლო გეგმის საფუძველზე შემუშავებული, რომელიც აზუსტებს სკოლისთვის ეროვნულ სასწავლო გეგმაში მოცემულ აუცილებელ დატვირთვას, განსაზღვრავს ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ და გაუთვალისწინებელ დამატებით საგანმანათლებლო მომსახურებას.

სასკოლო სასწავლო გეგმის ნაწილებია:

სკოლის მისია;

სასკოლო საათობრივი ბადე;

სკოლის საათობრივი ბადე მოიცავს I – VI კლასის გაკვეთილების განრიგს, რომელიც შესაბამისობაშია ეროვნული სასწავლო გეგმის საათობრივ ბადესთან.

სასწავლო მასალის ჩამონათვალი საფეხურებისა და საგნების შესაბამისად, მათ შორის გრიფმინიჭებული სასკოლო სახელმძღვანელოების ნუსხა კლასების/დონეებისა და საგნების მიხედვით;

სკოლაში გამოყენებული ყველა სავალდებულო სახელმძღვანელო გრიფირებულია.

ინკლუზიური განათლების პროგრამა - ეროვნულ სასწავლო გეგმის მიხედვით შემუშავებულია ინკლუზიური განათლების დებულება და ინდივიდუალური სასწავლო გეგმის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

_____

_____

_____

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა

_____

ბ.ა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებელზე

პროექტი, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეთათვის, რომელსაც სკოლა განახორციელებს საჭიროების შემთხვევაში;

მოსწავლის აკადემიური მიღწევის შეფასების წესები - განსაზღვრავს ვადებსა და პირობებს გაცდენილი შემაჯამებელი დავალებების აღდგენისთვის, საშემოდგომო გამოცდების ჩატარებისთვის და სხვა;

დაზუსტებული სადამრიგებლო პროგრამა - სადამრიგებლო პროგრამაში აღწერილია სკოლის სააღმზრდელო მუშაობის ხედვა, დამრიგებელთა მოვალეობები და ფუნქციები.

სადამრიგებლო პროგრამაში ჩამოყალიბებულია მიზნები და ამოცანები, სადამრიგებლო პრინციპები, ძირითადი მიმართულებები, მოთხოვნები და ვალდებულებები.

2016-2017 სასწავლო წელს სკოლაში არჩეული სპორტის სახეობაა:

I-VI კლასი - მოძრავი თამაშები (სტანდარტის მოთხოვნის შესაბამისი უნარ-ჩვევების განვითარებაზე ზრუნვა).

სკოლაში 2016-2017 სასწავლო წელს სკოლაში შექმნილი იყო ერთი კლასკომპლექტი - V-VI კლასებში სასწავლო პროცესი მიმდინარეობდა დიფერენცირებული სწავლების პრინციპებზე დაფუძნებით. ესგ-ის შესაბამისად (**მუხლი 4. 11,12,13 პუნქტები)** მცირეკონტინგენტიან სკოლებში დასაშვებია კლასკომპლექტების შექმნა. თუ კლასში 1 ან 2 მოსწავლეა, რეკომენდებულია სხვა კლასთან კლასკომპლქტის შექმნა. კლასკომპლექტში მოსწავლეთა რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს 10-ს. კლასკომპლექტის შექმნის შემთხვევაში რეკომენდებულია ის შეიქმნას ერთი საფეხურის ფარგლებში და ერთ კლასკომპლექტში არ გაერთიანდეს ორ კლასზე მეტი. I-IV კლასები შეიძლება დაკომპლექტდეს სხვადასხვა პრინციპით (მაგ.: I-II და III-IV პრინციპით, ან I-III და II-IV პრინციპით). სპორტის, მუსიკის, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების გაკვეთილებზე შესაძლებელია გაერთიანდეს რამდენიმე კლასი (მაგ. I, II და III; IV,V და VI; VII, VIII და IX და ა.შ.). კლასკომპლექტის შექმნის შემთხვევაში თითოეული კლასის მოსწავლეს უნდა ჩაუტარდეს შესაბამისი კლასისთვის/საგნისთვის ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული სავალდებულო საათების რაოდენობა. (2016-2017 სასწავლო წელს შპს ნანაში მე-5 კლასში იყო 3 მოსწავლე და მე-6 კლასში - 5, სულ 8 მოსწავლე).

პედაგოგებთან გასაუბრებით დადგინდა, რომ სასწავლო პროცესი ხორციელდებოდა შეუფერხებლად და ფიქსირდებოდა მოსწავლეთა მიერ შედეგების მიღწევის საკმაოდ კარგი მაჩვენებელი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

_____

_____

_____

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა

_____

ბ.ა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებელზე

ადმინისტრაციასთან გასაუბრებით, 2017-2018 სასწავლო წლისათვის სკოლაში არ მოიაზრება მეექვსე კლასის არსებობა, მეხუთე კლასის სამივე მოსწავლე სხვადასხვა მიზეზით გადადის სხვა სკოლაში.

დასტურდება:

- სასკოლო-სასწავლო გეგმით;
- სკოლის პედაგოგიური საბჭოს სხდომის ოქმით (ოქმი N 1; 25.08.2016.);
- სკოლის ადმინისტრაციასთან გასაუბრებით;
- პედაგოგებთან გასაუბრებით.

1.2. სასკოლო სასწავლო გეგმა პასუხობს შესაბამისი საფეხურის მოსწავლეთა მოთხოვნებს და საშუალებას აძლევს მათ, შეიძინონ ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული ცოდნა, უნარები და ღირებულებები

შეფასება:

მასწავლებლებს აქვთ საქაღალდეები, რომლებშიც ინახება თემატური გეგმები საგნების მიხედვით და სხვა სამუშაო დოკუმენტები. თემატური გეგმები შესაბამისობაშია ეროვნულ სასწავლო გეგმასთან.

პედაგოგთა პორტფოლიოებში, წარმოდეგნილია შემაჯამებელი სამუშაოების ნიმუშები, ზოგადი შეფასების რუბრიკებით. არ არის მითითებული სტანდარტის მიხედვით მისაღწევი შედეგები, რომელთა შემოწმებასაც ემსახურება შემაჯამებელი დავალება. ძირითადად, წარმოდგენილი ნიმუშები იყო ტესტები არჩევითი პასუხებით და ნაწილობრივ შეესაბამებოდა ესგ-ს მოთხოვნებს (**მუხლი 18. პუნქტი 5, ა) და დ):**

ა) სტანდარტის მოთხოვნათა დასაკმაყოფილებლად, აუცილებელია შემაჯამებელი დავალების მრავალგვარი ფორმის გამოყენება (თხზულება, მოხსენება, რეფერატი, პროექტი, საველე-გასვლითი სამუშაო, ლაბორატორიული კვლევა, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების ნიმუში და სხვ.);

დ) თითოეული მასწავლებელი ვალდებულია, შეაგროვოს და შეინახოს მის მიერ კლასში ჩატარებული შემაჯამებელი დავალებების დამადასტურებელი დოკუმენტაცია. აღნიშნულ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა

_____

ბ.ა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებელზე

<u>დოკუმენტაციაში წარმოდგენილი უნდა იყოს: სტანდარტის ის შედეგი/შედეგები, რომლის შეფასებასაც ემსახურებოდა კონკრეტული შემაჯამებელი დავალება; კრიტერიუმები, რომლითაც შეფასდა ეს დავალებები; მოსწავლეების მიერ შესრულებული და მასწავლებლის მიერ შეფასებული სამუშაოს რამდენიმე ნიმუში ან შესრულებული სამუშაოს ამსახველი ვიზუალური მასალა; თითოეული კლასის მოსწავლეთა მიერ მიღებული ქულები.</u>

ექსპერტთა ვიზიტის დროს გაეწიათ შესაბამისი რეკომენდაცია პედაგოგებს და ზოგმა ვიზიტის დროს დაიწყო ხარვეზის გამოსწორება.

მასწავლებელთა უმეტესობას წარმოდგენილი აქვს მოსწავლეთა შემაჯამებელი სამუშაოს შედეგები - მხოლოდ მიღებული ქულები, მონაცემების სახით და არ აქვთ შემაჯამებელი დავალებების ანალიზი, არც რაოდენობრივი და არც თვისობრივი. აქედან გამომდინარე, ნაკლებად აკმაყოფილებს ესგ-ის მოთხოვნას (**მუხლი 7. პუნქტი 2, თ)).** <u>უნდა განხორციელდეს შემაჯამებელი დავალებების ამსახველი დოკუმენტაციის, მოსწავლეთა აკადემიური მიღწევებისა და გაცდენების ანალიზი.</u>

სკოლას არჩევითი საგნის სახით შეთავაზებული აქვს მეტყველება და არითმეტიკა. ასევე, შეთავაზებული აქვს დამატებითი სააღმზრდელო მომსახურება. დღის მეორე ნახევარში მოსწავლეებთან მიმდინარეობს დამატებითი მუშაობა. როგორც მოსწავლეებთან გასაუბრებით გაირკვა, ძირითადად გაკვეთილების მომზადებას სკოლაშივე ახერხებენ. ეს ყოველივე ხორციელდება გაკვეთილების შემდეგ და დღის განრიგი მიუთითებს, რომ დაცულია მოსწავლეთა უფლებები (სავალდებულო საგნების შემდეგ არის ნახევარსაათიანი შესვენება).

ყოველივე საშუალებას აძლევს მოსწავლეს შეიძინოს საჭირო ცოდნა, უნარი და დამოკიდებულება.

დასტურდება:

- სასკოლო სასწავლო გეგმით;
- სკოლის პედაგოგიური საბჭოს სხდომის ოქმით (ოქმი N 1; 25.08.2016.);
- პედაგოგებთან გასაუბრებით;
- მოსწავლეებთან გასაუბრებით;
- პედაგოგების პორტფოლიოებით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა

ბ.ა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებელზე

1.3. სასკოლო სასწავლო გეგმა მოსწავლეს უზრუნველყოფს სწავლისა და განვითარების თანაბარი შესაძლებლობით. სკოლას აქვს სპეციალური პროგრამა განსაკუთრებული საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეთათვის

შეფასება:

სკოლაში ამჟამად სწავლობს 49 მოსწავლე. შექმნილია სწავლისა და განვითარებისათვის თანაბარი შესაძლებლობა.

სკოლას წარმოდგენილი აქვს ინკლუზიური განათლების პროგრამა სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეთათვის.

ამჟამად სკოლაში არ ირიცხება ასეთი მოსწავლე, ამიტომ სავარაუდო პროგრამა წარმოდგენილია პროექტის სახით. თუმცა, სკოლა მზად არის სსსმ მოსწავლის ჩარიცხვის შემთხვევაში შეიმუშაოს ინდივიდუალური სასწავლო გეგმა და განსაზღვროს მოსწავლის განვითარების მოკლევადიანი და გრძელვადიანი მიზნები, მიზნის მიღწევის სტრატეგიები და სტრატეგიების განხორციელების მექანიზმები, მოსწავლეთა სწავლისა და განვითარების თანაბარი შესაძლებლობის უზრუნველსაყოფად.

დასტურდება:

- სასკოლო სასწავლო გეგმით;
- ადმინისტრაციასთან გასაუბრებით;
- პედაგოგებთან გასაუბრებით.

1.4. სკოლაში არსებული მოსწავლეთა შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნულ სასწავლო გეგმას. შეფასების კრიტერიუმები გამჭვირვალეა, ცნობილია სასკოლო საზოგადოებისათვის და შედეგები გამოიყენება მოსწავლეთა აკადემიური მოსწრების გასაუმჯობესებლად

შეფასება:

სასკოლო სასწავლო გეგმაში განსაზღვრულია მოსწავლეთა შეფასების სისტემა, შემუშავებულია შეფასების რუბრიკები და კრიტერიუმები.

სკოლა იყენებს განმსაზღვრელ და განმავითარებელ შეფასებას, რის დასადასტურებლად წარმოადგინეს კონკრეტული რუბრიკები და ორივე ტიპის შეფასების მაგალითები. თუმცა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

_____

_____

_____

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა

_____

ბ.ა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებელზე

მასწავლებელთა პორტფოლიოებში წარმოდგენილი განმავითარებელი კომენტარების განხილვის შემდეგ, ექსპერტთა ვიზიტის დროს განმავითარებელი შეფასების დახვეწის მიზნით გაეწიათ რეკომენდაცია. ექსპერტთა ვიზიტის განმავლობაში პედაგოგების მიერ განხორციელდა გარკვეული სამუშაოები განმავითარებელი შეფასების დახვეწის მიზნით.

სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრულია შემაჯამებელი დავალებების მინიმალური რაოდენობა, რაც შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებს.

შემაჯამებელი დავალებების ქულების V-VI კლასების საკლასო ჟურნალში აღრიცხვის შემოწმებისას (კლასკომპლექტთან მუშაობისას), გამოიკვეთა, რომ ერთდროულად უტარდებათ შემაჯამებელი დავალებები. მასწავლებლებთან გასაუბრებისას კი გამოვლინდა ტექნიკურად როგორ ახორციელებენ სასწავლო პროცესს და როგორ ქმნიან დიფერენცირებულ სასწავლო გარემოს.

დასტურდება:

- სასკოლო სასწავლო გეგმით;
- შემაჯამებელი დავალებების რუბრიკებით;
- საკლასო ჟურნალებით;
- პედაგოგებთან გასაუბრებით;
- ადმინისტრაციასთან გასაუბრებით;
- მასწავლებელთა პორტფოლიოებით;
- მოსწავლეებთან და მშობლებთან გასაუბრებით.

1.5. შემუშავებულია მოსწავლის აკადემიური მოსწრების შესახებ მშობლის ინფორმირების წესი და მშობელი უზრუნველყოფილია სასკოლო ცხოვრებაში მონაწილეობის შესაძლებლობით

შეფასება:

სკოლას შემუშავებული აქვს მოსწავლეთა აკადემიური მოსწრების შესახებ მშობლის ინფორმირების წესები, რაც უზრუნველყოფს სასკოლო ცხოვრებაში მათ ჩართულობას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა

ბ.ა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებელზე

მშობელს მიეწოდება ინფორმაცია მოსწავლის როგორც აკადემიური მოსწრების, ისე დისციპლინარული გადაცდომების შესახებ. ამასთანავე, მშობელთან ურთიერთობის ძირითადი ფორმები განისაზღვრება სკოლის შინაგანაწესით და სადამრიგებლო პროგრამით.

მშობელთა ინფორმირება ხდება დამრიგებლის მიერ ინდივიდუალური შეხვედრის დროს, სატელეფონო ზარის საშუალებით, ელექტრონული შეტყობინებით. მშობელთა კრება იმართება ყოველთვიურად.

მშობლებთან გასაუბრების დროს გამოიკვეთა, რომ ისინი იცნობენ შეფასების სიტემას, აქვთ ინფორმაცია შეფასების რუბრიკების შესახებ.

სკოლას ღონისძიებების ორგანიზებასა და განხორციელებაში შესაძლებლობის მიხედვით დახმარებას უწევენ მშობლები.

დასტურდება:

- შინაგანაწესით;
- სადამრიგებლო პროგრამით;
- დამრიგებლის სამუშაო გეგმით;
- მასწავლებლებთან გასაუბრებით;
- მოსწავლეებთან და მშობლებთან გასაუბრებით;
- მშობლებთან შეხვედრების/კრებების ამსახველი ოქმებით.

1.6. შემუშავებულია სასკოლო სასწავლო გეგმის შეფასებისა და შემდგომი გაუმჯობესების მექანიზმი

შეფასება:

სკოლას შემუშავებული აქვს სასკოლო სასწავლო გეგმის გაუმჯობესების მექანიზმი. წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლით და დაწესებულების წარმომადგენლებთან გასაუბრებით დადგინდა, რომ სასწავლო პროცესის შეფასებისა და გაუმჯობესების მიზნით მიმდინარეობს პედაგოგთა, მოსწავლეთა და მშობელთა პერიოდული გამოკითხვა, შექმნილია სხვადასხვა სახის კითხვარები და გამოკითხვა მიმდინარეობს უკეთესი შედეგის მისაღწევად.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

_____

_____

_____

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა

_____

მ.ა.

ასევე, ხარისხის მართვის სამსახურის მიერ ხორციელდება გაკვეთილებზე დასწრება და შემუშავებული სქემის მიხედვით შეფასება.

სკოლის ხარისხის მართვის მენეჯერი (იგივე დირექტორი) კითხვარების დამუშავების შედეგების გამოყენებით ახორციელებს სასკოლო სასწავლო გეგმის დახვეწას და განახლებას.

დასტურდება:

- შევსებული კითხვარებით;
- პედაგოგებთან გასაუბრებით;
- დირექციასთან გასაუბრებით.

2. მატერიალური რესურსი

2.1 დაწესებულებას აქვს სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული სასწავლო პროცესის შესაბამისი

მატერიალური რესურსი, მათ შორის:

ა) ერთ მისამართზე არსებული საერთო ფართი.

შეფასება:

შპს ნანა მდებარეობს გარდაბანში, სოფელ გამარჯვებაში. სკოლას იჯარის ხელშეკრულებით აღებული აქვს შენობა, რომლის მესაკუთრეც არის გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულო. იჯარის ხელშეკრულება დადებულია 2012 წლის 19 ივლისს 10 წლით, 2022 წლის 19 ივლისამდე **(დანართი N1).** სკოლას ავტორიზაციის გავლის პირობებთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით ესაჭიროება იჯარის ხელშეკრულების გაგრძელება. ექსპერტთა ვიზიტის დროს სკოლას მიეცა რეკომენდაცია ამ საკითხის მოგვარების მიზნით.

დაწესებულების საერთო ფართის ოდენობა მისამართების მიხედვით:

№	მისამართი	კვ.მ.
1.	გარდაბანი, სოფელი გამარჯვება	N1 შენობა - 150 კვ.მ.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

_____

_____

_____

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა

_____

ბ.ა.

2.	გარდაბანი, სოფელი გამარჯვება	N2,N3,N4 დამხმარე შენობა.

დასტურდება:

- ხელშეკრულებით უძრავი ქონების იჯარის შესახებ (19.07.2012.);
- საკადასტრო კოდით - 81.07.11.412.;
- ადმინისტრაციასთან გასაუბრებით;
- **დანართით N1;**
- ვიზუალური დათვალიერებით.

ბ) საკლასო ოთახები, აღჭურვილი სათანადო ინვენტარით, კერძოდ: ინდივიდუალური მერხებით, სასკოლო დაფებითა და სხვა აუცილებელი მატერიალური საშუალებებით
შეფასება:

სკოლას ვიზიტის პერიოდში ძირითადი ფართის (N1 შენობა) ფარგლებში საკლასო ოთახად გამოყოფილი აქვს ხუთი ოთახი, სკოლაში არის ერთი ბიბლიოთეკის ოთახი, ერთი ოთახი გამოყოფილია დირექტორის კაბინეტად (სულ 7 ოთახია). საკლასო ოთახებში არის ერთადგილიანი ინდივიდუალური მერხები და სკამები, სულ 53 ერთეული. გარდა ამისა, დამხმარე ნაგებობაში არის ორი ოთახი, რომელთაგანაც ერთს სკოლა იყენებს წვიმიან ამინდში სპორტის გაკვეთილის ჩასატარებლად, ერთსაც საჭიროებისამებრ. ექსპერტთა ვიზიტის დროს სკოლის ადმინისტრაციას გაეწია რეკომენდაცია დირექტორის კაბინეტის დამხმარე ნაგებობაში (N2) გადატანის თაობაზე, რათა გამოთავისუფლდეს კიდევ ერთი საკლასო ოთახი და დაწყებითი განათლების საფეხურისათვის სრულფასოვანი სასწავლო გარემო შეიქმნას - ექვსივე კლასი ბიბლიოთეკასთან ერთად დარჩეს ერთ სივრცეში (N1 შენობაში). სკოლის ადმინისტრაციამ ამ საკითხზე მუშაობა დაიწყო (გამოვლინდა, რომ ადრეც ასე ჰქონდა გადანაწილებული ოთახები).

დასტურდება:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა

_____

ბ.ა.

- ვიზუალური დათვალიერებით;
- იჯარის ხელშეკრულებით;
- ინვენტარიზაციის აქტით.

გ) სპორტული დარბაზი, აუზი ან მოედანი

შეფასება:

სკოლა სპორტის გაკვეთილის ჩასატარებლად იყენებს (როგორც გასაუბრებიდან გამოჩნდა) ღია სპორტულ მოედანს, რომელიც სკოლას აღებული აქვს სარგებლობის უფლებით საკრებულოსაგან, თუმცა ვადები მითითებული არ არის **(დანართი N2)**. სკოლა მუშაობს ამ პრობლემის გამოსწორებაზე.

სპორტის სახეობებად არჩეული აქვთ გასართობი თამაშები პირველი - მეექვსე კლასებისათვის.

დასტურდება:

- ადმინისტრაციასთან გასაუბრებით;
- ინვენტარიზაციის აქტით;
- **დანართით N2;**
- ვიზუალური დათვალიერებით.

დ) სათანადოდ აღჭურვილი ლაბორატორია/ლაბორატორიები

შეფასება:

დაწყებითი საფეხურის სასწავლო პროცესის განხორციელებისათვის არ არის სკოლის ლაბორატორიით აღჭურვა აუცილებელი მოთხოვნა. დაწყებითი კლასების ბუნებისმეტყველების სტანდარტის შედეგების მიღწევა შესაძლებელია ლაბორატორიული აღჭურვილობის გარეშეც. სკოლას საკლასო ოთახებში გამოკრული აქვს თვალსაჩინო მასალა ბუნებისმეტყველების გაკვეთილისათვის.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

_____

_____

_____

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა

_____

ბ.ა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებელზე

დასტურდება:

- ვიზუალური დათვალიერებით.

2.2 სკოლაში არის საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისთვის აუცილებელი გარემო: ელექტროენერგიის მიწოდების უწყვეტი სისტემა, სველი წერტილები, ბუნებრივი განათების შესაძლებლობა და გათბობის საშუალებები

შეფასება:

დაწესებულებას აქვს ელექტროენერგიის მიწოდების უწყვეტი სისტემა, ყველა ოთახს აქვს ბუნებრივი განათება, სკოლა ძირითადად თბება ელექტრო გამათბობლებით. საჭიროებისას ამატებს შეშის ღუმელებს. სკოლას შეძენილი აქვს დენის ალტერნატიული წყარო - გენერატორი.

სკოლას ეზოში აქვს 3 სველი წერტილი, მათ შორის ერთი ბიჭებისათვის და ორი გოგონებისათვის. ერთი სველი წერტილიც არის ადაპტირებული სსსმ მოსწავლისათვის. სველი წერტილები განთავსებულია ეზოში აშენებულ N3 შენობაში. ჰიგიენის ნორმების სრულფასოვნად დაცვის შესაძლებლობას ნაკლებად იძლევა სველი წერტილები, რადგან სოფელში არის წყლის პრობლემა. სკოლას მოწყობილი აქვს ხელის დასაბანად ბაკი და მასზე მიმაგრებული ონკანი. ეს ყოველივე განთავსებულია N4 შენობაში. ბაკის შევსებას სკოლა უზრუნველყოფს მოტანილი წყლით. სკოლის N1 შენობიდან N2, N3 და N4 შენობებამდე არის ღია სივრცე.

დასტურდება:

- ვიზუალური დათვალიერებით;
- ინვენტარიზაციის აქტით;
- ადმინისტრაციასთან გასაუბრებით;
- გენერატორის ჩუქების აქტით;
- გადახდის ქვითრებით.

2.3 სკოლაში არის სასკოლო სასწავლო გეგმის შესაბამისი ბიბლიოთეკა სათანადო რაოდენობის წიგნადი ფონდით, პერიოდიკითა და სხვა დამხმარე მასალით

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ---

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა

ბ.ა.

შეფასება:

სკოლას აქვს საკუთარი ბიბლიოთეკა, რომელიც ფუნქციონირებს ბიბლიოთეკის დებულებით. ბიბლიოთეკაში სამკითხველო და წიგნსაცავი ერთ სივრცეშია. ბიბლიოთეკაში არის 1 ინტერნეტში ჩართული კომპიუტერი. ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდია 304 ერთეული. ბიბლიოთეკაში არის სკოლის მიერ არჩეული გრიფირებული სახელმძღვანელოების 3 სრული კომპლექტი.

ყველა წიგნი გატარებულია სათანადო წესით. თვალსაჩინო ადგილას გამოკრულია ბიბლიოთეკის დებულება.

დასტურდება:

- ვიზუალური დათვალიერებით;
- ბიბლიოთეკის დებულებით;
- ინვენტარიზაციის აქტით.

2.4 სკოლას აქვს ადაპტირებული გარემო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეთათვის

შეფასება:

სკოლას აქვს ადაპტირებული გარემო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე პირთათვის. ისეთი სსსმ მოსწავლის მიღების შემთხვევაში, რომელიც საჭიროებს ეტლით გადაადგილებას, სკოლას მოწყობილი აქვს პანდუსიანი შესასვლელი და ადაპტირებული სველი წერტილი.

დასტურდება:

- ვიზუალური დათვალიერებით;
- მშობლებთან და ადმინისტრაციასთან გასაუბრებით.

2.5 სკოლას აქვს სასკოლო სასწავლო გეგმით დასახული მიზნების განხორციელებისათვის აუცილებელი საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები, მათ შორის, ინტერნეტით

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

_____

_____

_____

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა

_____

მ.ა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებელზე

მუდმივად უზრუნველყოფილი ერთი კომპიუტერი (სპეციფიკაციები) არა უმეტეს 20 მოსწავლეზე. ვებგვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას

შეფასება:

სკოლაში არის 3 პერსონალური კომპიუტერი და 2 ლეპტოპი, 1 პრინტერი (კომბაინი). ყველა კომპიუტერი არის ინტერნეტში ჩართული.

სკოლას აქვს ვებ-გვერდი რომელიც ასრულებს საინფორმაციო ფუნქციას. დაწესებულება კომუნიკაციისათვის იყენებს ელექტრონულ ფოსტას (nana.gelashvili.1963@mail.ru) და ფეისბუქს.

დასტურდება:

- ვიზუალური დათვალიერებით;
- ინვენტარიზაციის აქტით;
- ჩუქების აქტებით:
- ვებ-გვერდით skolanana.edu.ge;
- დომენის ხელშეკრულებით.

2.6 სკოლაში დაცულია პერსონალისა და მოსწავლეთა უსაფრთხოება და ჯანმრთელობა, რისთვისაც არსებობს:

ა)ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები და ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი;

ბ) თვალსაჩინო ადგილას გამოკრული ევაკუაციის გეგმა;

გ) სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები;

დ) წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები;

ე) კერძო სამართლის იურიდიული პირების – ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისათვის – უსაფრთხოების კამერები, რომლებიც უზრუნველყოფენ სკოლის შიდა და გარე პერიმეტრის კონტროლს და რომელიც შეესაბამება „აზარტული და სხვა მომგებიანი თამაშობების (გარდა წამახალისებელი გათამაშებისა) ადგილებზე და გარე პერიმეტრზე ვიდეომეთვალყურეობის სისტემებისა და მათი დამონტაჟება-ექსპლოატაციის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2007 წლის 29 აგვისტოს №1143 ბრძანებით განსაზღვრულ ვიდეომეთვალყურეობის სისტემებსა და მათი დამონტაჟება-ექსპლუატაციის წესებს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა

ბ.ა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებელზე

შეფასება:

ა) სკოლის ძირითად ფართში (N1 შენობა) არის 2 ცალი ცეცხლმაქრი, რომლებიც არის დამუხტული (ვარგისიანობის ვადები დაცულია). ხანძარსაწინააღმდეგო დაფა განთავსებულია სკოლის გარე კედელზე.

ბ) სკოლაში თვალსაჩინო ადგილას გამოკრულია საევაკუაციო გეგმები, რომელიც დამზადებულია შესაბამისი სამსახურის მიერ. საევაკუაციო გეგმა დამზადებულია 2012 წელს. არ არის თანამედროვე სტანდარის მიხედვით განახლებული **(დანართი N3).**

გ) სკოლას შემუშავებული აქვს ექიმის დებულება - ძირითადი ფუნქციები და მოვალეობები. სკოლაში არის სამედიცინო კუთხე: ყუთი შესაბამისი მედიკამენტებით და დივანი. ექსპერტთა ვიზიტის დროს სკოლის ექიმთან განახლდა შრომითი ხელშეკრულდება.

დ) სკოლაში წესრიგს და უსაფრთხოებას უზრუნველყოფენ პედაგოგები მორიგეობის მეშვეობით (ამისათვის არსებობს დირექტორის მიერ დამტკიცებული მორიგეობის ცხრილი). სკოლას ჰყავს დარაჯი.

ე) სკოლაში დამონტაჟებულია სტანდარტის მოთხოვნის შესაბამისი უსაფრთხოების კამერები, რომლებიც უზრუნველყოფდა სკოლის შიდა პერიმეტრის, შემოსასვლელის და გარე პერიმეტრის კონტროლს.

სკოლას დამონტაჟებული აქვს სულ 5 ერთეული ვიდეოკამერა, რომელთაგანაც ორი აკონტროლებს შემოსასვლელებს, ერთი დერეფანს, ორიც სკოლის ეზოს (N2, N3 და N4 შენობებს),

დასტურდება:

- ვიზუალური დათვალიერებით;
- საევაკუაციო გეგმებით;
- საშტატო განრიგით;
- **დანართით N3;**
- ინვენტარიზაციის აქტით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა

_____

ბ.ა.

2.7 სკოლას შემუშავებული აქვს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისი წესდება, შინაგანაწესი ან გადაწყვეტილებების მიღების, საქმიანობის დაგეგმვისა და წარმართვის პროცედურათა ამსახველი სხვა დოკუმენტები

შეფასება:

დაწესებულებას აქვს დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული შინაგანაწესი და დებულება, რომლებშიც დეტალურადაა გაწერილი თანამშრომელთა ფუნქციები, ასევე მიღების, სხვა სამუშაოზე გადაყვანის და დათხოვნის წესები, თანამშრომელთა ძირითადი მოვალეობანი, ადმინისტრაციის ვალდებულებანი, სამუშაო დრო და პირობები და ა.შ.

სკოლის წესდება ამავე დროს არის შპს ნანას წესდება. წესდებაში აღწერილია მრავალი სხვადასხვა საქმიანობა, რომელთა განხორციელების უფლებაც ენიჭება შპს ნანას. მათ შორის „...ყველა სხვა საქმიანობა, რომელიც არ იკრძალება საქართველოს კანონმდებლობით". ეს პუნქტი იძლევა სკოლის გახსნის უფლებას და წესდების მიხედვით წარმართავს თავის საქმიანობას. სკოლას შემუშავებული აქვს ასევე, დებულება.

დასტურდება:

- სკოლის შინაგანაწესით;
- სკოლის დებულებით:
- შპს ნანას წესდებით.

2.8 შემუშავებულია სკოლის განვითარების გრძელვადიანი (ექვსწლიანი) და ერთწლიანი სამოქმედო გეგმები, გამომდინარე დაწესებულების მისიიდან, რაც ასევე ითვალისწინებს მატერიალური რესურსების ეფექტურად გამოყენებისა და გაუმჯობესების მექანიზმებს

შეფასება:

დაწესებულებას აქვს დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული სტრატეგიული განვითარების ერთწლიანი და ექვსწლიანი გეგმა. ექვსწლიანი სამოქმედო გეგმაში წარმოდგენილია პრიორიტეტული მიმართულებები, თუმცა არ არის განაწილებული წლების მიხედვით და არ არის მითითებული პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეულები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა

_____

ბ.ა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებელზე

სკოლას შემუშავებული აქვს 2016–2017 სასწავლო წლის სკოლის განვითარების ერთწლიანი გეგმა, რომელშიც არის შესაბამისობაში სტრატეგიულ გეგმასთან, თუმცა არ არის წარმოდგენილი მონიტორინგი შესრულებულ სამუშაოებზე. შესაბამისად, სკოლას არ წარმოუდგენია სამოქმედო გეგმის ანალიზი, რომელიც უნდა გამოიყენოს 2017-2018 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმის შედგენის დროს. ამ საკითხზეც სკოლის ადმინისტრაციამ ვიზიტის პერიოდში დაიწყო მუშაობა.

დასტურდება:

- 2016-2017 სასწავლო წლის განვითარების ერთწლიანი გეგმით.
- სტრატეგიული განვითარების ექვსწლიანი გეგმით.

2.9 დაწესებულებაში მიმდინარეობს გამოცემული აქტებისა და კორესპონდენციის აღრიცხვა

შეფასება:

სკოლამ წარმოადგინა სარეგისტრაციო ჟურნალები:.

- საერთო ბრძანების რეგისტაციის ჟურნალი;
- შემოსული დოკუმენტაციის რეგისტრაციის ჟურნალი (2012 წლიდან არ არის ჩანაწერი 2017 წლამდე, განახლებულია მიმდინარე წელს);
- გასული დოკუმენტაციის რეგისტრაციის ჟურნალი;
- შრომითი ხელშეკრულებების რეგისტრაციის ჟურნალი (ახალია).

ყველა ჟურნალი ზონარგაყრილია და ბეჭედდასმული.

დასტურდება:

- გასაუბრებით;
- სარეგისტრაციო ჟურნალებით.

3.ადამიანური რესურსი

3.1 სკოლას ჰყავს სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული სასწავლო პროცესის შესაბამისი ადამიანური რესურსი

შეფასება:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

_____

_____

_____

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა

_____

მ.ა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებელზე

სკოლას გააჩნია სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული სასწავლო პროცესის შესაბამისი ადამიანური რესურსი.

2016-2017 სასწავლო წელს სკოლაში დასაქმებულია 12 თანამშრომელი. მათ შორის: 8 პედაგოგია, 1 დირექტორი (რომელიც ითავსებს როგორც ხარისხის მართვის მენეჯერის, ასევე საქმისმწარმოებლის ფუნქციებს), 1 ბიბლიოთეკარი (რომელიც ითავსებს ფინანსური და ტექნიკური მენეჯერის ფუნქციებს), 1 დამლაგებელი, 1 მეეზოვე და 1 დარაჯი. მათგან, 4 მასწავლებელი დარეგისტრირებულია მართვის საინფორმაციო სისტემის ბაზაში პრაქტიკოს პედაგოგად. 4 პედაგოგს სტატუსი არ აქვს.

შინაგანაწესში გაწერილია დასაქმებულთა ფუნქცია–მოვალეობები. სკოლის პედაგოგიური საბჭო არის სკოლის თვითმმართველობის ორგანო, რომელშიც შედის ყველა პედაგოგი.

დასტურდება:

- თანამშრომელთა პირადი საქმეებით;
- თანამშრომლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებით;
- სკოლის საშტატო განრიგით;
- დებულებით;
- საათობრივი ბადით;
- emis.ge -ს მონაცემებით.

3.2 სკოლის მასწავლებლები შერჩეულნი არიან „ზოგადი განათლების შესახებ" საქართველოს კანონისა და ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად

შეფასება:

სკოლის მასწავლებლებიდან 4 სრულად აკმაყოფილებს საქართველოს კანონისა და ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებს, (ჩართულია მასწავლებელთა პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემაში), 4 პედაგოგს სტატუსი არ აქვს მინიჭებული.

ექსპერტთა ვიზიტის დროს სკოლის ადმინისტრაციამ წარმოადგინა იმ პედაგოგებთან გაფორმებული ვადიანი შრომითი ხელშეკრულებები, რომლებიც არ არიან მართვის ელექტრონული სისტემის ბაზაში და არ აქვთ სტატუსი. ბრძანება N4-ის (09.09.2014) საფუძველზე,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

_____

_____

_____

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა

_____

ბ.ა.

ბუნებისმეტყველების პედაგოგი ნ. ი.; დაწყებითის პედაგოგი თ. ო.; სპორტის პედაგოგი ლ.კ.; მათემატიკის პედაგოგი ნ. რ. მუშაობენ სკოლაში 2014 წლის 15 სექტემბრიდან. შესაბამისად, ახალი სქემის ამოქმედებისას სამუშაო პროცესის წყვეტა არ აღინიშნება. აქედან გამომდინარე მათ აქვთ უფლება ჰქონდეთ გარკვეული სტატუსი. ამ საკითხზე დღეიდან აქტიურად ზრუნავს სკოლის ადმინსტრაცია და ექსპერტთა ვიზიტის პროცესშივე დაიწყეს ამ ხარვეზის გამოსწორება.

დასტურდება:

- შრომითი ხელშეკრულებებით;
- მასწავლებლების პირადი საქმეებით;
- emis.ge -ს მონაცემებით;
- ,,მასწავლებლის საქმიანობის დაწყების, პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემის დამტკიცების შესახებ'' საქართველოს მთავრობის 2015 წ. 20 თებერვლის N68 დადგენილებით (2017 წ. 26 იანვრის ცვლილების მიხედვით).

3.3 სკოლაში შემუშავებულია თანამშრომელთა შერჩევის, მიღებისა და გათავისუფლების წესები, ასევე წახალისებისა და სანქციების გამჭვირვალე სისტემა

შეფასება:

სკოლის შინაგანაწესის თანახმად (მუხლები: 6, 7, 13, 14, 15, 16, 17, 18, 19, 20) შემუშავებულია თანამშრომელთა მიღებისა და დათხოვნის წესი. ვაკანტურ ადგილებზე განცხადების განთავსება ხდება ელექტრონული და მასობრივი საინფორმაციო საშუალებებით. სკოლის თანამშრომლები და პედაგოგები სამუშაოზე მიიღებიან გასაუბრებით, წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის ნოტარიულად დამოწმებული ასლი, CV); თანამშრომელთან დირექტორი დებს ვადიან შრომით ხელშეკრულებას – არანაკლებ 10 თვისა.

სკოლაში მასწავლებლის მიმართ შეიძლება გამოყენებულ იქნას შემდეგი ადმინისტრაციული სასჯელები:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ---

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა

ბ.ა.

- წერილობითი გაფრთხილება;
- საყვედური;
- სასტიკი საყვედური;
- ათი სამუშაო დღის ხელფასის დაკავება;
- სამსახურიდან გათავისუფლება;

სკოლის შინაგანაწესის N13 მუხლის თანახმად შემუშავებულია თანამშრომლის გათავისუფლების წესი. თანამშრომელთა სამუშაოდან გათავისუფლების საკითხს, არსებული კანონმდებლობის, ხელშეკრულების, ურთიერთშეთანხმებისა და ამ შინაგანაწესის ფარგლებში წყვეტს სკოლის დირექტორი, რისთვისაც გამოსცემს სათანადო ბრძანებას.

შინაგანაწესის N15 მუხლის თანახმად შემუშავებულია წარმატებისთვის წახალისების ფორმები: მადლობის გამოცხადება, საპატიო სიგელით და ფასიანი საჩუქრით დაჯილდოება, ერთჯერადი პრემია, დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომის ვადაზე ადრე მოხსნა.

დასტურდება:

- სკოლის შინაგანაწესით;
- მასწავლებლებთან და ტექნიკურ პერსონალთან გაფორმებული ხელშეკრულებებით;
- სკოლაში თანამშრომელთა მიღების წესით;
- სკოლის თანამშრომლებთან გასაუბრებით.

3.4 მასწავლებლებთან, ადმინისტრაციულ, ტექნიკურ პერსონალსა და სკოლის სხვა თანამშრომლებთან გაფორმებულია ხელშეკრულებები

შეფასება:

სკოლის თითოეული თანამშრომლის პირად საქმეში ინახება ავტობიოგრაფია, პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტაციების ასლები, დიპლომის ასლები, ცნობა ნასამართლეობის შესახებ.

სკოლის დირექტორს სკოლის ყველა პედაგოგთან და ტექნიკურ პერსონალსთან გაფორმებული აქვს ხელშეკრულება, სადაც განსაზღვრულია ხელშეკრულების ზოგადი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

_____

_____

_____

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა

_____

ბ.ა.

დებულებები, ხელშეკრულების საგანი, მხარეთა უფლებები და მოვალეობები, სამუშაო დრო და შრომის ანაზღაურება, ხელშეკრულების მოქმედების ვადა და შრომითი ურთიერთობების გაწყვეტის პირობები, დამატებითი ვალდებულებები, მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერა.

დასტურდება:

- თანამშრომელთა პირადი საქმეებით;
- შინაგანაწესით;
- შრომითი ხელშეკრულებებით.

3.5 სკოლას შემუშავებული აქვს ადამიანური რესურსის პროფესიული განვითარების ხელშეწყობის მექანიზმები

შეფასება:

სკოლას შემუშავებული აქვს ადამიანური რესურსების პროფესიული განვითარების მექანიზმები. მასწავლებელთა პროფესიული განვითარებისა და მოტივაციის ზრდის მიზნით სკოლის 4 პედაგოგი ჩართულია „მასწავლებელთა საქმიანობის დაწყების, პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემაში". ექსპერტთა ვიზიტის დროს გამოვლინდა, რომ მართვის საინფორმაციო სისტემის ბაზაში იძებნება სკოლის გარკვეული მასწავლებლები, ოთხი პედაგოგი კი ვერ იძებნება.

მართვის ელექტრონული სისტემის ბაზის მოუწესრიგებლობის გამო (სკოლის ადმინისტრაცია შეფასების ჯგუფის შექმნის შესახებ ბრძანებას ვერ ტვირთავდა მართვის ელექტრონული სისტემის ბაზაში), იმ პედაგოგთა შეფასებაც ვერ ხერხდებოდა, რომლებიც ჩანდა ბაზაში. ამავე მიზეზით, სკოლა ვერ ღებულობს სათანადო დახმარებას კონსულტაციებისა და ტრენინგების სახით მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრის მხრიდან.

ექსპერტთა ვიზიტის დროს სკოლის ადმინისტრაციამ შეარჩია ფასილიტატორი და სკოლაში შექმნა სკოლის მასწავლებელთა შეფასების ჯგუფი, რომელთა დამტკიცებაც მოხდება უახლოეს პედსაბჭოზე.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

_____

_____

_____

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა

_____

ბ.ა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებელზე

გასაუბრებიდან გამოჩნდა, რომ პედაგოგებს საშუალება ეძლევათ ნებისმიერ დროს ისარგებლონ ბიბლიოთეკით, სადაც განთავსებულია პედაგოგთა კვალიფიკაციის ასამაღლებლად საჭირო მასალა: პერიოდიკა, წიგნები, ინტერნეტ რესურსები და ა.შ.

პედაგოგები თანამშრომლობენ სხვა სკოლის პედაგოგებთან და იზიარებენ სიახლეებს.

დასტურდება:

- მასწავლებლებთან გასაუბრებით;
- მასწავლებელთა პირადი საქმეებით;
- მასწავლებელთა პორტფოლიოებით

3.6 სკოლაში არის დაცულობის, კეთილგანწყობის, ურთიერთპატივისცემისა და თანამშრომლობის ატმოსფერო, რაც ხელს უწყობს სასკოლო საზოგადოების თითოეული წევრის შესაძლებლობათა მაქსიმუმის გამოვლენას, პასუხისმგებლობის გადანაწილებას

შეფასება:

სკოლის მოსწავლეებთან, მშობლებთან და მასწავლებლებთან ჩატარებული გასაუბრების დროს გაირკვა, რომ სკოლაში არის დაცულობის, კეთილგანწყობის, ურთიერთპატივისცემისა და თანამშრომლობის ატმოსფერო.

სკოლა ხშირად გეგმავს სპორტულ, აღმზრდელობით ღონისძიებებს და ექსკურსიებს რომლებშიც ჩართულია სასკოლო საზოგადოების ყველა წევრი - მოსწავლე, მშობელი, მასწავლებელი, რაც გამოჩნდა სკოლის ვებ გვერდის, ასევე, სოციალური ქსელის დათვალიერებისას და გასაუბრების დროს.

ყოველივე ეს ადასტურებს, რომ მოსწავლეებს ეძლევათ შესაძლებლობა, ინტერესებიდან გამოდინარე, მოახდინონ საკუთარი შესაძლებლობების განვითარება.

გასაუბრებით და ვიზუალური დათვალიერებით გამოჩნდა, რომ მასწავლებლები, სკოლის სხვა თანამშრომლები, მოსწავლეები უფრთხილდებიან სკოლის ქონებას და ახასიათებთ გუნდური მუშაობის პრინციპი. ეს ხელს უწყობს სასკოლო საზოგადოების თითოეული წევრის შესაძლელობათა მაქსიმალურ გამოვლენას.

დასტურდება:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

_____

_____

_____

_____

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა

_____

ბ.ა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებელზე

- სკოლის შინაგანაწესით;
- თანამდებობრივი ინსტრუქციებით;
- სკოლის ადმინისტრაციასთან გასაუბრებით;
- სკოლის მასწავლებლებთან გასაუბრებით;
- მშობლებთან და მოსწავლეებთან გასაუბრებით;
- სკოლის ვიზუალური დათვალიერებით

IV. თანდართული დოკუმენტაცია:

1. **დანართი N1 – 3 (სამ) ფურცლად;**
2. **დანართი N2 – 1 (ერთ) ფურცლად;**
3. **დანართი N3 – 2 (ორ) ფურცლად.**

გარდაბნის რაიონი,
სოფელი გამარჯვება.
შპს „ნანა“

21. 07. 2017 წ.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა

_____

ბ.ა.